პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 25 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

# ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ

№ 18 (706)

1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა

ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## მეტი ყურადღება საჰაერო ფლოტის მეგობართა უჯრედებს.

დღეს ჩვენ გაზეთში თავს-დება საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმის მოწოდება, სადაც ის მიმართავს ყველა მშრომელთ, რათა ხელი შეუწყონ ხსენებულ საზოგადოების გაძლიერების და განმტკიცების საქმეს. ამ მიზნით საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს ავიაციის დღისათვის ე. ი. 14 ივლისისათვის საზოგადოების რიცხვი აიყვანოს 3 მილიონამდე.

ამ ჟამად კი წითელი ავიაციის მეგობართა რიცხვი უდრის ერთ მილიონ ნახევარს.

ორი წელი არაა, რაც ჩვენ შევუდექით საჰაერო ფლოტის ფართე ნიადაგზე შენებას. პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგმა „წითელი ავიაციის შექმნა—მშრომელთა მასების საქმეა“—ნახა მხურვალე გამოძახილი მთელ საბჭოთა კავშირში.

ამ ჟამად ყველა მუშათა ორგანიზაციებში, წითელ ჯარში თუ დაწესებულებებში ყველგან დაბლანდულია საჰაერო ფლოტის მეგობართა უჯრედები. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ხსენებულ საზოგადოებამ უკვე შესძლო საავიაციო აღმშენებლობის საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენება.

სულ მცირე ხანში აშენებული იქმნა მრავალი ჰაეროპლანები და მთელი ესკადრილიებიც.

ჯერ კიდევ რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-13 ყრილობას საჰაერო ფლოტის საზოგადოებამ გადასცა საჰაერო ესკადრილია (ჰაეროპლანების მთელი წყება) „ლენინი № 1.“ 25 იანვრისათვის საზოგადოებას უკვე გამზადილი აქვს წითელ ავიაციას მიუძღვნას კიდევ მეორე ესკადრილია (18 ჰაეროპლანების შემადგენლობით) „ლენინი № 2.“ ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, სულ მცირე ხნის განმავლობაში თუ როგორ სწრაფად საზოგადოებამ ფართეთ გაშალა ფრთები.

მაგრამ მიუხედავათ ასეთი მოღვაწეობისა ყოველივე ეს კიდევ ცოტაა. საზღვარ-გარეთ ავიაცია, განსაკუთრებით სამხედრო, საათობით იზრდება. ჩვენ კი ვიცით თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავიაციას ომის დროს. ვისაც ძლიერი სამხედრო საჰაერო ფლოტი ეყოლება გამარჯვებაც მომავალ ომში მისი იქნება. ამასთანავე ავიაციას დიდი როლი უკავია სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში. ის აგრეთვე მიმოსვლის ერთ ერთი საუკეთესო საშვალებაა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, მოითხოვს ჩვენგან მეტ ენერგიას, მეტ ყურადღებას ავიაციის საქმისადმი. ამიტომ თითეული მშრომელის მოვალეობას შეადგენს ხელი შეუწყოს ამ საქმეს. ეს კი შეიძლებ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში ჩაწერით და მასში აქტიური მუშაობით. ხსენებულ საზოგადოების პრეზიდიუმის მომართვას მხურვალედ უნდა გამოეხმაურონ ყველა მშრომელები და მათ შორის ჩვენი წითელი ჯარიც, სადაც უკვე არსებობენ საჰაერო ფლოტის მეგობართა უჯრედები. უნდა ითქვას რომ უკანასკნელ ხანებში ამ უჯრედების მუშაობა ძლიერ შესუსტდა. ამას ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენ ნაწილების მიერ. საჭიროა უჯრედები გამოცოცხლდენ და მიიზიდონ თავისი რიგებში წითელ-არმიელთა მასები. უჯრედებმა ფართედ უნდა გასწიონ აგიტაცია საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ. უნდა გამართონ პოპულიარული მოხსენებები წითელი ავიაციის მნიშვნელობის შესახებ. საჭიროა წითელ-არმიელებს აეხსნას ხსენებულ საზოგადოების მნიშვნელობა და სხვა.

ყოველივე ამას აქედანვე უნდა შევუდგეთ და წითელი ავიაციის დღე ჩვენც უნდა დავამშვენოთ ჩვენი მიღწევებით.

## იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულების შინაარსი.

**ხელშეკრულების თანახმად იაპონია და საბჭოთა კავშირს შორის მყარდება ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა.**

**იაპონიის მთავრობა ვალდებულია გაიყვანოს თავისი ჯარი ჩრდილოეთ სახალინიდან, სადაც არსდება საბჭოთა ძალა-უფლება.**

**განსაკუთრებულ ოქმში გათვალისწინებულია იაპონიის მომავალი კონცესიები სახალინში და სხვა.**

## მილოცვის დეპეშები.

საგარეო საქმეთა კომისარიატმა მიიღო მრავალი მისალოცი დეპეშა იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან იაპონია-საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულების დადებისა და ნორმალურ ურთიერთობის დამყარების შესახებ.

## ვისი ხრიკებია.

ჩინეთის მხვლიმოვაჭრეები 2 კვირაა აწარმოებენ კამპანიას აღმოსავლეთ ჩინეთის გზის გამგეს-ივანოვის წინააღმდეგ; ივანოვს ბრალად სდებენ, რომ თითქოს მას სურდეს ზარალი მიაყენოს ჩინეთის კომერსანტებს.

სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის აგენტები და ჩინეთის ადგილობრივი ძალები კომერსანტების მხარეზე არიან.

## საჭირბოროტო საკითხი.

იაპონიის ყველა გაზეთები თითქმის სავსებით მიძღვნილია საბჭოთა-იაპონიის ხელშეკრულებისადმი.

როსტას კორესპოდენტს მოსდის მილოცვის დეპეშები, რომლებშიაც სთხოვენ გადასცეს მადლობა საბჭოთა მთავრობას მისი კეთილი ცდების გამო საბჭოთა-იაპონიის მოლაპარაკების სასურველად დაგვირგვინებისათვის.

როგორც ფიქრობენ, შეთანხმება დამტკიცებულ იქნება 10 თებერვალს.

## პრესა იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ.

ავსტრიის, უნგრეთის და ჩეხო-სლოვაკიის პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულებას და ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის მომავალ თანამშრომლობას იაპონიასა და ჩინეთთან. პრესა აღნიშნავს, რომ ეს არის საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება უკანასკნელ წლების განმავლობაში, რომლითაც მან დაიბრუნა რუსეთის ძველი პოზიცია შორეულ აღმოსავლეთში.

რუმინეთის პოლიტიკურ წრეებს იმედი გაუცრუა ხელშეკრულებამ.

რუმინეთის კაპიტალისტური გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ცნობით იმსხვრევა რუმინეთის უკანასკნელი იმედი ბესარაბიის ოქმის დამტკიცებისა იაპონიის მიერ.

აღსანიშნავია, რომ იაპონია საბჭოთა ხელშეკრულების მოწერისთანავე, ბუქარესტში მყოფი იაპონიის რწმუნებული გაემგზავრა იაპონიაში. გამგზავრების წინ რწმუნებულმა განაცხადა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, რომ იაპონიას არ მიაქვს უკან თავისი სიტყვა ბესარაბიის ოქმის საკითხში, მაგრამ მას დაამტკიცებს ის მხოლოდ მაშინ, როცა მას ხელს მოაწერენ სხვა სახელმწიფოები, იმათ რიცხვში, იტალიაც.

## იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ.

### იაპონიის გამოძახილი.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა ცნობა იაპონია-საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმების ხელისმოწერის შესახებ. ცნობაში ნათქვამია: „ხელშეკრულების მოწერა ჩვენს გულწრფელ კმაყოფილებას იწვევს. ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ ამ გრძნობას გაიზიარებს საზოგადოება“.

პრემიერ კატომ განაცხადა: „მე ბედნიერება მაქვს ვაცნობო პალატებს, რომ მოლაპარაკება რუსეთსა და იაპონიას შორის წარმატებით დასრულდა“.

## ბრიანი საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

საფრანგეთის პალატაში საგარეო პოლიტიკის შესახებ დეპუტატმა ბრიანმა განაცხადა: „არაფერია იმაზე უარესი, როგორიც არის ორი სახელმწიფოს სრული განცალკევება. ამისათვის, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა, რომელიც შეიძლება შეგვიქმნას ჩვენ საბჭოთა მთავრობამ, მაინც მოსაწონია ჩვენი მთავრობის მიერ საელჩოს დაარსება მოსკოვში.“



## ამხ. თენგიზ ჟღენტი.

(მისი დივიზიიდან წასვლის გამო)

ქ. მ. დივიზია დღეს ემშვიდობება ერთ საუკეთესო და ძველ გამოცდილ ამხანაგს და მეგობარს ამხ. თენგიზ ჟღენტს. ამხანაგი თენგიზი კარგა ხანი იყო ჩვენი დივიზიის სამხედრო კომისარი. მას ბევრი ღვაწლი მიუძღვის მის სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში. როგორც ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი, გამოცდილი მებრძოლი და რევოლიუციონერი, რომელიც ოცდა სამი წელიწადი მოუსვენრათ ებრძოდა ჯერ მეფის თვითმპყრობელობას, შემდეგ კერენსკის და მენშევიკების მთავრობებს, რისთვისაც მას არა ერთხელ უგემია სუსხიანი ხელი მეფის და მენშევიკების მთავრობების. ის ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდაა, როდესაც მას იჭერენ და ციხეში აგზავნენ ექვსი თვით 1903 წ. ქ. ქუთაისში. ციხიდან გამოსვლისას იგი ისევ ეწევა რევოლიუციონურ მუშაობას გურიაში და შორაპნის მაზრაში, სადაც მას კვლავ აპატიმრებენ. 1911 წ. კავკასიის სამხედრო საველე სასამართლო სხვა 28 ამხანაგებთან ერთად, მათ შორის 7 მიესაჯა სიკვდილით სასჯელი. თენგიზს სჯიან ოთხი წლის კატორღით.

1912 წ. მას ანთავისუფლებენ, მაგრამ 1913 წ. მას ისევ იჭერენ. ომის დროს ის იმალება აქა იქ. შემდეგ მიდის სარაყამიშში და იქ შედის სამსახურში ქალაქთა კავშირში. შემდეგ მიდის სპარსეთში. აქ მას, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ირჩევენ შარაფხანის გარნიზონის აღმასკომის თავმჯდომარეთ. საქართველოში დაბრუნებისას ის ეწევა მუშაობას აქ, რის შემდეგაც მიემგზავრება რუსეთში და იქ უკრაინაში იწყებს მუშაობას, სადაც აწყობს აჯანყებას ჯერ ოდესაში გეტმან სკოროპადსკის წინააღმდეგ. ქ. ელიზავეტგრადის აღების შემდეგ ის ინიშნება გარნიზონის უფროსათ და სამხედრო კომისრათ; ღებულობს აქტიურ მონაწილეობას ძრავალ აჯანყებებში და იმსახურებს საუკეთესო კომუნისტის და მებრძოლის სახელს.

შემდეგ ბრუნდება საქართველოში 1919 წ. შემოდგომაზე, ებმება მუშაობაში, სადაც ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ ინიშნება არალეგალური რევკომის ოპერატიული შტაბის თავმჯდომარედ და ხელმძღვანელათ.

აქ მას კიდის აგენტები მრავალხელ იჭერენ, მაგრამ ის გარბის განსაკუთრებული რაზმის კარებიდან რამდენიმეხელ და ისევ თავისებური ენტუზიაზმით კიდებს ხელს მუშაობას, მანამ ის არ იქნა ქუთაისის ციხეში დაპატიმრებული. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ის მსახურობს ბათომში ოლქის სამხედრო კომისრათ, ამავე დროს რევკომის წევრათ. შემდეგ ირჩევენ ბათომის მუშათა და გლეხთა წითელ არმიელთა და მეზღვაურთა საბჭოს წევრათ.

1922 წ. ის ინიშნება ჩვენი დივიზიის სამხედრო კომისრათ და პოლიტ-განყ. უფროსათ.

დღეს ამხ. თენგიზი მიწვეულია აჭარისტანში.

აჭარისტანი არის საბჭოთა ფედერაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კუთხე, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ შეიტანა ნამდვილი თავისუფლება და დაანახვა ყველა მოსაზღვრე ერებს, თუ როგორ მტკიცედ იცავს ის მშრომელი ხალხის ინტერესებს და კეთილდღეობას. და ამხ. თენგიზი იგზავნება იქ, რომ თავის შრომით და ენერგიით ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს აჭარისტანის აყვავებას და აღორძინებას.

აი ასეთ საპასუხისმგებლო ადგილზე მიდის ამხ. ჟღენტი. ვუსურვებთ მას ისეთივე ნაყოფიერი და წარმატებით მუშაობას, რომელიც ახასიათებდა მას ქართული წითელი ჯარის შექმნის საქმეში. ვიმედოვნებთ, რომ საჭირო დროს ამხ. თენგიზს კვლავ ვიხილავთ ჩვენ წითელი ჯარის რიგებში.

ვინ—სანი.

# ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

## იტალიაში.

ლენინის გარდაცვალების წლის თავის გამო 21—22 იანვარს საბჭოთა საელჩოს ესტუმრა მუშათა კავშირების დეპუტაციები თანაგრძნობის გამოსაცხადებლად ლენინის დაკარგვის გამო.

იტალიის მრავალ სამრეწველოების ცენტრებში მუშებმა გამოჰკიდეს დროშები წარწერით: „გაუმარჯოს ლენინს“.

გაიმართა მანიფესტაციები; მანიფესტანტების წინააღმდეგ მიღებულ იქნა ზომები პოლიციის მიერ.

საელჩოს თანამშრომლებმა აღნიშნეს წლის თავი სამგლოვიარო კრებით.

## ავსტრიაში.

საბჭოთა საელჩოში ვენაში მოხდა სამგლოვიარო კრება. ილაპარაკეს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იოფემ (ლენინის მნიშვნელობის შესახებ), ავსტრიის კომპარტიის წარმომადგენელმა ბერმანმა და უნგრ. კომპ-ს წარმომადგენელმა ალპარმა.

ავსტრიის კომპარტიამ მოაწყო მასიური დემონსტრაცია. პოლიციამ აამუშავა ცივი იარაღი და გაჰფანტა დემონსტრანტები.

## სტამბოლში.

21 იანვარს საბჭოთა ახალშენმა სტამბოლში გამართა სავაჭრო დელეგაციის შენობაში სამგლოვიარო კრება. სხვებთან ერთად პირადი მოგონებიდან ლენინის შესახებ ილაპარაკა ამერიკის ჟურნალისტმა ქალმა შერმანმა.

## ნორვეგიაში.

ლენინის კვირეულის დროს შესდგა კომპარტიის დიდი სამგლოვიარო კრება. კომუნისტური გაზეთი „ნორგეო კომუნისტენ ბლადეტი“ უძღვნის ცალკე ნომერს ლენინის ხსოვნას. ტრანმელის ორგანო „არმეიდერ ბლადეტი“ ქებით იხსენიებს ლენინს, ჰგმობს ლენინზმს და ილაშქრებს რკპ-ს ბელადების წინააღმდეგ.

---

# სამგლოვიარო დღე მონღოლეთში.

ლენინის გარდაცვალების წლის თავი აღნიშნული იყო მონღოლეთის სატახტო ქალაქში საზეიმო სხდომებით. სახალხო სახლი სავსე იყო მონღოლებით, თათრებით და რუსებით; მონღოლეთის მთავრობის, კომინტერნის, მონღოლეთის სახალხო პარტიის წარმომადგენლებმა ყოველ მხრივად დაახასიათეს ლენინის და ლენინიზმის მნიშვნელობა აღმოსავლეთის ერებისა და კერძოდ, მონღოლთა დამოუკიდებლობის ბრძოლისათვის.

---

# პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში.

23 იანვარს პოლონეთის საგანგებო ელჩმა საბჭოთა კავშირში კენტჟინსკიმ ჩააბარა თავის რწმუნების ბარათი საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს, ამხ. კალინინს.

კენტჟინსკიმ, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის პოლიტიკურ ურთიერთობის შესახებ როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მშვიდობიანი განწყობილებაა.

რომ ეს განწყობილება მომავალში უფრო განვითარდება ამის თავდები არის ის, რომ ამ ორივე ქვეყნის საარსებო ინტერესები მოითხოვს პოლიტიკურ მშვიდობიანობას და ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენას“.

---

# ამხ. სოკოლნიკოვი საფრანგეთის ვალების შესახებ.

პტი-პარიზიენის თანამშრომელი ესაუბრა ამხ. სოკოლნიკოვს, რომელმაც ძველი ვალების საკითხის შესახებ განაცხადა.

„საბჭოთა ხელისუფლება უარყოფს ფინანსიურ ვალდებულებებს, რომელიც აღებული იყო მეფის მიერ, მაგრამ სავსებით აასრულებს იმ ვალდებულებას, რომელსაც აიღებს თვითონ“.

---

# ცილის წამების კამპანია გრძელდება.

ციხიდან განთავისუფლებული ხორვატიის გლეხთა პარტიის ლიდერები, კვლავ დააპატიმრეს საპოლიციო ყაზარმებში.

ხორვატიის მთავრობამ დაადგინა შესწყვიტოს რადიჩის პარტიის საქმე გლეხთა ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ გადასწყვიტა წამოაყენოს რადიჩისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ ბრალდება სახელმწიფო ღალატში.

მთავრობის ამ განზრახვამ გამოიწვია ხელ-ახალი დაპატიმრება.

მთავრობა განაგრძობს ცილის წამებასა და ტყუილის კამპანიას რადიჩის წინააღმდეგ და აქვეყნებს ხელშეკრულებას, რომელიც ვითომც ხელმოწერილი იყოს რადიჩისა და უნგრეთის მთავრობის მიერ.

ეს ყალბი დოკუმენტი შეიცავს 10 მუხლს, რომელიც ეხება სანაპირო ურთიერთობას უნგრეთსა და მომავალ ხორვატიის მთავრობას შორის.

---

# ჰამბურგის აჯანყების საქმე.

ჰამბურგში დაიწყო საქმე კომუნისტურ აჯანყების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჰამბურგში 1923 წ.

ბრალდებულთა სკამზე სხედან რეიხსტაგის რვა დეპუტატი ურბანსის მეთაურობით. საბრალმდებლო ოქმში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აჯანყება იყო მოწყობილი სახელმწიფო ღალატის მიზნით, რომ უნდა ჩამოეგდოთ რესპუბლიკანური მთავრობა და შეეცვალათ ის საბჭოთა დიქტატურით.

ურბანსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან აღნიშნა პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზნები, გერმანიის რესპუბლიკის დღევანდელი შინაარსი და გერმანიის კომპარტიის ამოცანები რევოლიუციონური მოძრაობის ორგანიზაციაში.

ურბანსმა განაცხადა, რომ ის კისრულობს სრულ პოლიტიკურ პასუხიმგებლობას ყველაფერში, რაც კი მოხდა 1923 წლის ოქტომბერში ჰამბურგში.

ურბანსის სიტყვა 2 საათი გაგრძელდა.

---

# რკპ-ს ცეკას პლენუმი.

**დღის წესრიგი.**

17-დან 20 იანვრამდი მიდიოდა რკპ-ს ცეკას პლენუმი, რომელიც არჩევდა საკითხებს: ადგილობრივ ორგანიზაციების რეზოლიუციების შესახებ; ტროცკის გამოსვლების გარშემო; ხარჯთაღრიცხვის განხილვის და სამეტალურგიო მრეწველობის შესახებ; მუშა ქალთა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ და სხვა.

ტროცკის გამოსვლების შესახებ პლენუმმა მიიღო უკვე გამოქვეყნებული რეზოლიუცია.

**ხარჯთაღრიცხვის შესახებ.**

ხარჯთ-აღრიცხვის გაფართოების შესახებ პლენუმმა საჭიროდ სცნო უფრო ახლო მონაწილეობა საკავშირო რესპუბლიკების წარმომადგენელთა ხარჯთ აღრიცხვის წინასწარ შემუშავებაში და საბოლოოდ დამტკიცებაში.

**სამეტალურგიო მრეწველობის შესახებ.**

სამეტალურგიო მრეწველობის დღევანდელი და მომავალი მდგომარეობის შესახებ პლენუმმა საჭიროდ სცნო აღნიშნული მრეწველობის გაფართოება ბაზრის მოთხოვნილებასთან შეფარდებით. ამასთან პლენუმმა დაადგინა გაფართოებულ იქნას კრედიტის საქმე სამეტალურგიო მრეწველობისთვის.

**მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების შესახებ.**

მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების შესახებ ცეკას პლენუმმა გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მტკიცედ გაატარონ ცხოვრებაში აღნიშნული პრაქტიკული ღონისძიებანი და დაამთავროს ქალთა მიზიდვის საქმე პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირთა და კოოპერატიულ აღმშენებლობაში.

---

# რკინის დიდძალი მარაგი.

უმაღლესი სამეურნეო საბჭოს კომისიამ, რომელსაც უნდა გამოერკვია კურსკის რაიონის მადნის მდგომარეობა, დაასრულა თავისი მუშაობა.

11 კილომეტრის მანძილზე 100 მეტრის სიღრმით შეიძლება შეძენილ იქნას 280 მილიონი ფუთი რკინა. თუ მთელი სიღრმით იქნება ამოღებული, ესევე რაიონი მოგვცემს 600 მილიონ ტონა რკინას.

აქედან სჩანს, რომ კურსკში დიდძალი რკინის მარაგი მოიპოვება, რაიც უზრუნველგვყოფს რამოდენიმე ასეული წლებით.

---

# მოწოდება

**საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმმა მოწოდებით მიმართა ყველა მშრომელთ ხელი შეუწყონ საჰაერო ფლოტის გაძლიერებას და სოციალისტურ საავიაციო მრეწველობის განმტკიცებას.**

---

# ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე.

## საშინაო ვაჭრობა და კოოპერაცია.

საშინაო ვაჭრობა და კოოპერაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრმა ლარინმა, რომელმაც განაცხადა: „თუ შევადარებთ 1923 და 24 წ. წ. საქონლის ტრიალს, აშკარა იქნება ჩვენთვის საქონლის ტრიალის ზრდა. საგრძნობლად გაძლიერდა აგრეთვე კოოპერაცია. კოოპერაციის ზრდასთან ერთად ეცემა კერძო კაპიტალის როლი“. მომხსენებელს მოჰყავს ციფრობრივი მასალები და პროცენტული შედარებანი თავის მოხსენების დასასაბუთებლად.

## კამათი.

ლარინის მოხსენების გარშემო ილაპარაკა 19 ორატორმა.

მილიუტინი ამბობს, რომ კერძო კაპიტალის განდევნის ტემპი შენელდა, ვინაიდან მას ეძლეოდა კრედიტი გრძელვადით.

კუიბიშევი ამბობს, თუ ჩვენ გვსურს ავასრულოთ ილიჩის ანდერძები, მაშინ კოოპერაციის კრედიტის საკითხი უნდა დავაყენოთ როგორც უმთავრესი საკითხი.

ამასთან ჩვენ უნდა დავეემყაროთ კოოპერაციის ქვემო ქსელს.

კრუპსკაია აღნიშნავს, რომ ლენინი ამბობდა კოოპერაციაში მოსახლეობის ნამდვილ მონაწილეობის შესახებ. ჩვენთვის კოოპერაცია არის კლასობრივი ბრძოლის საშუალება და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რათა ფართე მოსახლეობამ, სახელდობრ მცირე შეძლების მქონე და ღარიბებმა მიიღონ მონაწილეობა კოოპერაციაში და შეკავშირდენ უკანასკნელის საშუალებით.

დასასრულ ლარინმა აღნიშნა, რომ კრედიტისა და ვადის შემცირება დამღუპველი იქნება კოოპერაციისათვის, განსაკუთრებით საწარმოო პროგრამის გაფართოების პირობებში.

---

# ამინდი საქართველოში.

## სოხუმში.

23 იანვარს ღამით მოვიდა თოვლი, მოსთოვა 3 ვერშოკამდე. 24-ში მზიანი ამინდი იყო.

## დიდი თოვლი იმერეთში.

უკანასკნელათ მოსული დიდი თოვლის გამო, ქუთაისის მაზრის რაიონებს შორის კავშირი შეწყდა, რის გამოც დაბრკოლდა ერთიან სასოფლო—სამეურნეო გადასახადის შემოტანა.

## თოვლის შედეგები.

ქუთაისის მაზრაში, დიდი თოვლის გამო ძლიერ გაძნელდა საქონლის საკვების ყიდვა—გაყიდვა. მარტო ბაღდადის რაიონში დაიღუპა შიმშილით რამოდენიმე ათეული საქონელი.

## ფოთში.

მეორე დღეა, რაც თოვლი მოდის. ქალაქში შეშის დიდი კრიზისია, რადგანაც სოფლებიდან შეუძლებელი გახდა რაიმეს შემოზიდვა. 24 იანვარს დილით ქარ—ბუქმა დაზიანა ტელეგრაფ—ტელეფონის ხაზი მიღებული ზომებით ხაზი საჩქაროთ იქნა შეკეთებული.




# ლენინის კვირა ყაზარმაში.

## დივიზიის ცენტრ. კლუბში.

22 იანვარს დივიზიის ცენტრ. კლუბში გაიმართა ლენინის გარდაცვალების ერთი წლის თავის აღსანიშნავად საღამო. დადგმული იქნა რუსულ—ქართულ ენაზე წარმოდგენა რუსულ წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდა 1-ლ ქართ. მსრ. დივლაზარეთის კლუბის დრამწრე. წარმოდგენა. ორივე ენაზე ჩინებულად ჩატარდა. მადლობის ღირსი არის ლაზარეთის კლუბის დასის შემადგენლობა, რომელშიაც შედიან ქარხნის მუშები.

გაუმარჯოს კომუნისტურ—პარტიას, რომელსაც შეაქვს წავლა განათლება მუშებში და გლეხებში.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

წითელ არმიელი ის. კოდუა.

## ლენინიზმის გზით ჩვენ მივალთ კომუნიზმამდე

(ლენინის გარდაცვალების წლის თავის და 9 იანვრის აღსანიშნავი საღამო ცალკე საკავშირო ასეულში).

22 იანვარს ცალკე საკავშირო ასეულში შესდგა წითელ არმიელების და უფ-პოლიტ შემადგენლობის საერთო კრება, სადაც ამხანაგებმა ილაპარაკეს ლენინის გარდაცვალების წლის თავის და 9 იანვრის მნიშვნელობის შესახებ. ამხ. დანდუროვი აცნობს კრებას ლენინის ვინაობას, მის რევოლიუციონურ მუშაობას, რომელიც მან დაიწყო მოწაფის სკამიდან. აღნიშნა ამხ. ლენინის უდიდესი ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის ოქტომბრის გადატრიალებაში და გლეხთა და მუშათა კავშირის გამტკიცების საქმეში. ამხ. დანდუროვის მოხსენების დასრულების შემდეგ, კრებამ მიიღო რეზოლიუცია: „ჩვენ ცალკე საკავშირო ასეულის მთელი შემადგენლობა, ამხ. ლენინის გარდაცვალების წლის თავზე, ვიძლევით ფიცს პარტიის წინაშე, რომ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად და გაორკეცებულ ენერგიით შევასრულებთ ამხ. ლენინის ანდერძებს, განსაკუთრებით კი შევუდგებით მუშათა და გლეხთა კავშირის გამტკიცებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აწერდა ამხ. ლენინი.

გაუმარჯოს ლენინზმს!

გაუმარჯოს რუსეთის კომპარტიას!"

9 იანვრის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგაძემ.

მან აღნიშნა ის გარდამავალი ხანა რევოლიუციონურ მოძრაობისა, რომელიც სრულდება 9 იანვრით, როდესაც მეფის ჯალათებმა ნაცვლად მუშათა უმწეო მდგომარეობის გაუმჯობესებისა ტყვიით გაუმასპინძლდა მათ.

1905 წლის 9 იანვარს საზამთრო სასახლის წინ ათასობით იქნა შეუიარაღებელი მუშა ხალხი დახოცილი, რასაც მოყვა გამოფხიზლება და რევოლიუციონურ მოძრაობის სხვა ხასიათის მიღება. აღნიშნა მღვდელ გაპონის როლი ამ მოძრაობაში.

დასასრულ იყო შეკითხვები ამ საკითხის შესახებ რაზედაც მომხსენებელი იძლეოდა განმარტებებს.

სამხკორი შალაშინი.

## ვერიდოთ.

თითქოს, ყველა წ. არმიელი ესწრება სანიტარულ საათებს, ისმენენ იქ ექიმების განმარტებას თუ რა ზიანი მოაქვს ადამიანისათვის ვენერიულ ავათმყოფობას, მაგრამ, საუბედუროთ რამოდენიმე წ-არმიელისათვის უშედეგოთ ჩაუვლია სანიტარულ საათებს და მიუხედავათ ამისა, მაინც იჭერენ კავშირს ქუჩის მოხეტიალე ქალებთან. ამხანაგო წ. არმიელებო, გავანებოთ თავი ასეთ საზიზღარ საქმეს, თორემ ქუჩის როსკიპი ქალებიდან შეიძლება ადამიანმა შეიძინოს გამანადგურებელი სენი.

წ. არმ. ს. ბუბაშვილი.

## ექსკურსია თამბაქოს ქარხანაში.

ამ დღეებში მეორე საარტილერიო დივიზიონის სამოსწავლო გუნდი გაემგზავრა თამბაქოს ფაბრიკის დასათვალიერებლად.

დილის 11 საათზე უკვე ფაბრიკაში ვიყავით. მუშებმა დიდის სიხარულით მიგვიღეს. დათვალიერების დროს მუშები გვიხსნიდენ მანქანების დანიშნულებას. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ არმიელებზე ყოველივე ნანახმა. დათვალიერების შემდეგ სიმღერით დავბრუნდით ყაზარმაში.

ერთი კვირის წინ მოვაწყვეთ აგრეთვე საქსოვ ქარხანაში ექსკურსია—აქაც კარგი შთაბეჭდილება მიიღეს წითელ-არმიელებმა.

კარგი იქნება, რომ ჩვენი კლუბის გამგე ხშირად მოაწყობდეს ასეთ ექსკურსიებს.

წით. არმ. შრომისშვილი.

## მე-6 ლეგიონში.

იანვრის 21-ს შესდგა მე-6 ლეგიონის კომუჯრედების გაერთიანებული ღია კრება, რომელსაც დაესწრო უფ. პოლიტ და წითელ-არმიელთა შემადგენლობა. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საქმიანობა და მიღწევები ლენინის გარდაცვალების შემდეგ.

2. ახალგაზრდათა კომკავშირის წევრების და უპარტიო წითელ არმიელთა განცხადებების განხილვა კომპარტიის კანდიდატებათ გადარიცხვის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს მე-2 რაიკომის წარსომადგენელი ამხ. მდივანი, რომელმაც ვრცლად ნათლად დაასურათა ლენინის ღვაწლი და შემოქმედება.

მოხსენებამ ძალზე დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა კრებაზე, გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია, რომ მეექვსე ლეგიონის სრული შემადგენლობა რევოლიუციონურ ფიცსა სდებს გაათკეცებული ენერგიით შეითვისოს ლენინის მოძღვრება და გადაიტანოს ის გარშემორტყმულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც, სადაც ჯერ კიდევ ბატონობს ბურჟუაზიული ძალაუფლება, რათა უზრუნველყოს უახლოეს ხანებში მსოფლიო კომუნისტური რევოლიუცია, საერთაშორისო მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

დასასრულს განხილულ იქნა ახალგაზრ. კომკავშირის წევრების და უპარტიო წითელ არმიელთა განცხადებები კომპარტიის კანდიდატებათ გადასვლის შესახებ, რომლებიც, დაწვრილებითი დახასიათების შემდეგ, გადაყვანილ იქნენ კრების მიერ დანიშნულებისამებრ, რის შემდეგაც კრება დაიხურა.

ვ. ლორთქიფანიძე.

## ქართული გაერთიანებული მეთაურთა სკოლა. № 2 კომუჯრედისაგან.

კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში წევრად და კანდიდატად შესვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ვარლამ გრიგოლის ძე ბერიძეს, 2. მალაქია ალფესის-ძე კერესელიძეს, 3. ოქროპირ ნიკიფორეს-ძე ეზიაშვილს (კომპარტ. კანდიდატებია).

4. ზაქარია თედოს-ძე დიდებაშვილს, 5. სერგო პართენის-ძე მაჭარაძეს, 6. იონა ნესტორის-ძე დევიძეს (ახკომკავშირის წევრებია).

7. სერგო ფილიპეს-ძე დოლიძეს, 8. გიორგი ილიას ძე კიკვაძეს, 9. გიორგი ალმასხანის-ძე მეძმარიაშვილს, 10. კირილე ნესტორის-ძე ნიჟარაძეს, 11. დავით გიორგის ძე ჩიჩუას (უპარტიოებია).

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 2 უჯრედის პრეზიდიუმი გთხოვთ, თუ ვინმემ იცით რაიმე უარყოფითი მხარეები აღნიშნულ ამხ. ამხ. შესახებ, გვაცნობეთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერად.

მისამართი: ტფილისი, ვაკე ქართული გაერთიანებული მეთაურთა სკოლა.

№ 2 კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ჩაჩანიძე.

## საჭიროა ყურადღება.

(ქართ. მეთ. სკოლა)

ქართულ გაერთ. მეთაურთა სკოლაში სამხკორების მუშაობას ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ, მაგრამ მათი თავიდან აშორება შეიძლება, თუ სათანადო ყურადღება მიექცევა. საერთოდ სკოლაში კურსანტები ძლიერ დატვირთული ვართ მეცადინეობით დილის 8 საათიდან 16 საათამდის სულ მეცადინეობა გვაქვს, როგორც სასკოლო ისე სამხედრო. 16 საათის შემდეგ მიმდინარეობს სხვა და სხვა წესების მეცადინეობა.

ზოგიერთი კურსანტი მიმაგრებულია სხვა და სხვა ადგილზე ასე რომ, იშვიათად თუ ვპოვულობთ თავისუფალ დროს.

მიუხედავად დროს სიმცირისა მაინც ვწერთ სკოლის ცხოვრებიდან რაიმეს, მაგრამ ვერ ვაწვდით რედაქციას თავის დროზე, რადგან მეცადინეობის დროს უფ. შემადგენლობას ძლიერ ეზარება კურსანტის გაშვება ქალაქში; ეს ერთ თავად კანონიერიც არის, რადგანაც თუ ჩამორჩები რომელიმე გაკვეთილს, შემდეგ დაწევა ძნელია. ამისათვის საჭიროა სკოლის კომპარტიის ბიურომ იზრუნოს, რათა დანიშნულ იქნას სპეციალურად კვირაში ერთხელ შიკრიკი, რომელიც ჩამოივლის დანიშნულ დღეს ყველა ასეულებში და წაიღებს წერილებს რედაქციაში- ან და ქონდეს ყოველ ასეულის სამხკორს ნებართვა კვირაში ერთხელ, რომ წაიღოს წერილები რედაქციაში.

ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, რომლის საშუალებითაც უფრო ენერგიულად იმუშავებენ სამხკორები.

ლავრო.

## ამბები სოფლებიდან

### ფოსტა სოფლად.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების 46 სოფელში წარსული წლის განმავლობაში გაიხსნა ქოხ-სამკითხველოებთან საფოსტო ბიუროები.

### საბჭოთა არჩევნები ბორჩალოში.

დღეიდან, 24 იანვრიდან ბორჩალოს მაზრაში დაიწყება საბჭოთა არჩევნები.

### ხევსურეთში.

საქ. ჯანმ. სახ. კომისარიატმა გახსნა ხევსურეთში ორი საექიმო პუნქტი, ერთი სოფელ მაღაროს კარში და მეორე ბორისახოში.

### სოფლელი ხელოსნები კავშირდებიან.

სოფელი ანაგის, ვაქირის და კარდანახის ხელოსნები ადგილობრივ აარსებენ ხის დასამუშავებელ და მექანიკურ სახელოსნოებს.

### საფუტკრეს მოწყობა თელავში.

თელავის მეფუტკრეთა საზოგადოებას სამაზრო აღმასკომმა დაუთმო ყოფ. საკრებულო ტაძრის ეზო, საჩვენებელ საფუტკრეს მოსაწყობად.

### რაჭის გლეხკომების ყრილობა.

16 იანვარს ონში გაიხსნა რაჭის მაზრის გლეხკომების

## ჩვენი კავშირი სოფელთან.

(ქართულ-გაერთიანებული მეთაურთა სკოლა).

22 იანვარს ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლამ გამართა სოფელ წყნეთში საღამო-წარმოდგენა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. საღამოს დაწყებისას მომხსენებელმა გააცნო გლეხებს საღამოს დანიშნულება და შემდეგ ილაპარაკა მშრომელთა ბელადის-ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მომხსენებელი გადავიდა „9 იანვარზე" და მოუთხრო გლეხებს, თუ რიგორ მოატყუა ხალხი მღვდელმა გაპონმა და დაახვრეტია ასეული მუშა და გლეხი მეფის ჯალათებს. ბოლოს დადგმულ იქმნა პიესები ლენინისა და 9 იანვარის შესახებ, ინსცენიროვკები და სხვა.

ლ. ჭელიძე.

# პარტიული ცხოვრება.

### 1-ლ ლეგიონის მე-3-მე ასეულის კომუჯრედში.

20 იანვარს შესდგა კომუჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრენ მთელი ასეულის ბატარეის და საკავშირო გუნდების როგორც პარტიული, ისე უპარტიო შემადგენლობა.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა, 2. განცხადებების გარჩევა პარტიაში მიღების შესახებ და 3. მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჯიჩოევმა, რომელმაც აღნიშნა ამხ. ლენინის ცხოვრება და მისი მოღვაწეობა. მოხსენება ყველასათვის გასაგები იყო.

შეკითხვებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქმნა სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც წითელი მოლაშქრეებმა გამოთქვეს დიდი სურვილი ლენინიზმის შესასწავლად და მისი ანდერძის ცხოვრებაში გასატარებლად; შემდეგ გარჩეულ იქმნა ამხანაგების განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ.

კომუჯრედმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა კოლექტივის წინაშე მათი პარტიაში მიღების შესახებ.

მიმდინარე საკითხებში იყო შემოტანილი სხვა და სხვა შინაარსის საკითხები, რომლებიც კომუჯრედის მიერ დაკმაყოფილებული იქმნენ.

ს. კინწურაშვილი.

### ავირჩიეთ პარტკორი.

3 ლეგიონის 1 კომუჯრედის კრებაზე, რომელსაც გარ. და პარტიულებისა თითქმის სრული შემადგენლობით დაესწრენ აგრეთვე უპარტიო წითელ-არმიელებიც, გაირჩა მთელი რიგი საკითხებისა. კრებამ ერთხმად დაამტკიცა წინა კრების ოქმი. მიმდინარე პარტიული მუშაობა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა უჯრედის მდივანმა, კრებამ დამკმაყოფილებლად სცნო. შემდეგ კრება ირჩევს რამოდენიმე ამხანაგებს პარტიულ თანამდებობაზე. ამხ. კ. ბოპოხიძეს უჯრედის მდივნად და თან პარტკორადაც აქვე უნდა აღინიშნოს უჯრედის კრებებზე მხურვალე მონაწილეობას იღებენ აგრეთვე უპარტიო წითელი არმიელები, რაც იმას ამტკიცებს, რომ ისინი ნათლად გრძნობენ პარტიულ მუშაობის მნიშვნელობას და სარგებლიანობას.

პარტკორი.

# სამხედრო საქმე

## თვითმფრინავიდან თვალთვალი.

თვითმფრინავის შემჩნევა შეიძლება მხოლოდ ორი ან სამი წუთით მის გამოჩენამდე და მისგან თვალთვალი არც ისე ხანგრძლივია. ეს გარემოება აიძულებს ასეულის თავს მუდამ ჟამს იყოს მზათ თვითმფრინავის გამოჩენისათვის. თვითმფრინავიდან თვალთვალი შეიარაღებული თვალებით ხელსაყრელ პირობებში შესაძლებელია 25—30 კილომეტრის მანძილზე.

დილა და საღამო უფრო ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენენ თვალთვალისათვის.

ნისლი, წვიმა და თოვლი აფერხებს თვალთვალს.

თვითმფრინავიდან თვალთვალის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს ჩრდილი და ცქრიალა ზედაპირი. მობეკნილი ბალახი თვითმფრინავიდან უფრო კარგათ იხედება, ვიდრე დაუბეკნელი. ამის და მიხედვით თვითმფრინავიდან ადვილათ შესამჩნევია ბილიკი და სანგრის ბრუსტვერი.

დღით 2.000 მეტრის სიმაღლიდან შეიძლება შემჩნეული იქმნას ასეული.

1.000 მეტრის სიმაღლიდან კარგ დარში უკვე შეიძლება თვითეული ადამიანის გარჩევა.

ადამიანი და საზიდელები უფრო ადვილათ შესამჩნევია ზამთარში თოვლზე და ზაფხულში კი, დაბეკნილ ადგილებში. ძნელი შესამჩნევია ბუჩქებში.

ადვილი სათვალთვალოა ასეთი საგნები, რომელსაც სწორი მოხაზულება აქვს მაგალითად სახლი, ნახნავი, გზები, მდინარე და სხვა.

**მიბმულ ჰაეროსტატებიდან თვალთვალი.**

ჰაეროსტატებიდან თვალთვალი კარგ დარში შეიძლება განუწყვეტლივ.

კარგ ამინდში 800 მეტრის სიმაღლიდან კარგათ მოსჩანს 10 კილომეტრის მანძილზე ასეული, ცალკე ოცეულები, სანგრები, მავთულხლართი ღამით მოსჩანს ბანაკში ცეცხლი.

ძლიერი ქარი, წვიმა, ნისლი, ცუდი ამინდი და მზე მოპირდაპირის მხრიდან ხელს უშლის თვალთვალს.

**ასეულში შენიღბვის წარმოება.**

ასეულში შენიღბვას საერთო ხელმძღვანელობა ევალება ასეულის თავს.

თვითეული წითელ არმიელი ასეულში ვალდებულია იცოდეს არა რთული შენიღბვის ილეთები, ხერხი.

**მ. გ.**

მეორე ყრილობა, რომელმაც მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სოც. უზრ. სახ. კომისარიატს.

**გლეხკომის სახარაზო.**

სურამის სათემო გლეხკომს მოწყობილი აქვს სახარაზო სახელოსნო, სადაც მუშაობს ხუთი ხელოსანი და ახლო ხანში ფიქრობს მოაწყოს სამჭედლო სახელოსნო.

**ინვალიდთა არტელი.**

ქუთაისში არსებული ინვალიდთა არტელი „ბრწყინვალე ვარსკვლავი“ ამზადებს ხელოვნურ ხელ-ფეხს.

**მამაცი მწყემსები.**

მოქ. ახვერდაშვილს და ტეტიაშვილს, რომელთაც ყავს ღორის ჯოგი თელავის მაზრაში, აღმასკომმა მ სცა 50 მან. საჩუქრად ორივეს, იმისთვის რომ მოჰკლეს ყაჩაღები, მათზე თავდასხმის დროს.

**სკოლების შენახვა.**

სურამის სათემო გლეხკომი თავის ხარჯზე ინახავს ორ სკოლას, ერთს სოფელ ურთხვაში და მეორეს ს. ფ. წაბლოვანში.

**საბჭოების ყრილობა.**

ბორჩალოს მაზრის საბჭოთა ყრილობა მოწვეული იქნება 20 თებერვლისათვის ქ. შულავერში.

**ბამბის დათესვა იმერეთში.**

მიმდინარე წელს იმერეთში განზრახულია დაითესოს 1200 დესეტინა ბამბა.

# ბიბლიოგრაფია.

**9 იანვარი 1905-1925 წ. წ. ტ. „მნათობი“ გვ. 255. ტირაჟი 3000.**

რუსეთის პირველ რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავათ, ს. ს. ს. რ. პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ ჩვენ კლუბის მუშაკებს მოზრდილი ტანისა და ფორმატის მშვენიერი კრებული უძღვნა. სამხედრო ნაწილების ბიბლიოთეკებმა თუმცა ცოტა, მაგრამ მაინც დროულად მიიღეს ეს წიგნი და როგორც საერთო განათლებისათვის, ისე მიმდინარე კომპანიებისათვის— დაუფასებელია.—

კრებულში უმთავრესად 5 განყოფილებაა.

**1. 9 იანვარის ამბების აღწერა.** ეს განყოფილება შესდგება უმთავრესად ამხ. ლენინის მოკლე წერილებიდან—9 იანვართან დაკავშირებით და აქვეა აგრეთვე—ამხ. ბრონჩბრუევიჩისა და მ. გორკის წერილები.

**2. 9 იანვრის ამბების შეფასება.** აქაც უმთავრესად ლენინის წერილებია და საინტერესოა აგრეთვე—ამხ. ლუნაჩარსკის ორივე წერილი.

**3. იანვრის შედეგები.** ამ განყოფითებაში საინტერესოა სხვათაშორის გაპონის წერილი, როგორც საბუთი.

**4. 9 იანვრის გამოძახილი საქართველოში.** ეს ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო თავია, და როგორც ასეთი კარგი იყო უფრო ვრცლათ ყოფილიყო გადმოცემული. საინტერესოა როგორც ამხ. ხანოიანის მოგონება, ისე სოც. დემოკრატების პროკლამაცია. გარდა ამისა აქ დართულია მდიდარი ბიბლიოგრაფია-რეცენზიებით სათანადო ლიტერატურისა და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან, სამწუხაროთ ქართულ გამოცემებს ასეთი ნაბიჯები არ ახასიათებს. დასასრულ

**5. განყოფილებაში გარკვეულია.** თუ როგორ უნდა ჩატარდეს 9 იანვარი კლუბებსა და წრეებში და მოთავსებულია 3 პიესა, 2 სცენარი და 1 ლექსი. მთელი ეს მასალა ნათარგმნია. საერთოთ, კრებული ლამაზათ და სუფთადაა გამოცემული. კარგი იქნებოდა, რომ რედაქცია არ შეჩერებულიყო მაინცადამაინც ნათარგმნ მასალებზე, განსაკუთრებით მე-5 განყოფილებაში.

**გრიან.**

# სამნეო დარგის საკითხები.

## საკითხი ფართედ უნდა დავაყენოთ.

ჩვენი გაზეთი „წითელ არმიელი-“ს ზომა ნებას არ გვაძლევს უფრო ვრცლად და დაწვრილებით შევეხოთ სამნეო დარგის თვითეულ საკითხს თვითეულ ჯარის ნაწილში, ამიტომ, როდესაც მე ვათავსებ გაზეთში ჩემს საინსტრუქტორო და რჩევა-დარიგების ხასიათის წერილებს, მე მაქვს მხედველობაში დივიზიის ყველა ნაწილები საერთოდ და არა პირველი ლეგიონი ანუ ხელდადებით სხვა რომელიმე ერთეული. ვიცი რომ ზოგიერთი ჯარის ნაწილებს ბევრი ნაკლულევანებანი აქვთ, ზოგს კი—ნაკლები, მაგრამ, რომლებსაც სრულებით არა აქვთ დეფექტები, ამისთანებს მე ჯერ არ შევხვედრივარ.

მიუხედავათ ამისა ერთ-ერთი წერილთაგანში, რომელიცაა გაგზავნილი რედაქციაში, აღნიშნულია, რომ ამხ. შაკუნი ამჩნევს დეფექტებს და არაფერს არ ამბობს სამნეო კომისიების მუშაობის დადებითი მხარეზეო.

ჩვენი ამოცანაა—მოვსპოთ ყველა ნაკლულევანებანი სამნეო დარგში, სადაც გინდა არ იყოს და რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს იგინი და თუ ზოგიერთ ალაგას ყველაფერი კეთდება ჩინებულად—ასეც უნდა იყოს და ეცადონ ყველა სამნეო მუშაკები, არ დაუშვან თავიანთ ნაწილებში ის შეცდომები, რომლებსაც აქვს ადგილი სხვაგან, გაზეთში წერა კი იმაზედ, რომ ამა და და ამ ჯარის ნაწილში ანუ საზოგადოთ ყველა ერთეულებში არაა ის ნაკლულევანებანი, რომელზედაც გვითითებს ამხ. შაკუნიო, ნიშნავს საკითხისადმი უფრო ვიწრო თვალსაზრისით მიდგომას, თავის ნაწილისადმი მეტი პატრიოტობის გამოჩენას და თავის ცხვირის იქით ალარაფრის დანახვას.

**რისთვის ირჩევა გაზეთებში სამნეო დარგის საკითხები?**

მხოლოდ იმიტომ რომ თავიდან ავიცილოთ და არ დაუშვათ ნაკლულევანებანი და არა იმიტომ, რომ ვაქოთ ჩვენი თავი და არამედ სამნეო დარგის საკითხის ყოველ მხრივი გაშუქებით, შევამციროთ საკანცელარიო მიწერ-მოწერა, რომლითაც ზოგიერთი სამნეო მუშაკნი ძალიან არიან გატაცებულნი. როდესაც ჩვენ აღვძარით საკითხი სამნეო კომისიებზე გარდა დეფექტების მოსპობისა, სადაც იგინი არსებობენ, ჩვენ გვქონდა მხედველობაში, მოვმზადებულიყავით დივიზიის და საარმიო (საგარნიზონო) სამნეო კომისიების ყრილობებისათვის, რომელიც იყო დანიშნული 17 ამ იანვარისთვის და რომელიც უთუოთ ამ დღეებში შესდგება.

ამ ყრილობისთვის ჩვენ უნდა კარგად მოვიფიქროთ ამ საკითხზე და ეხლავე ვიქონიოთ პრაქტიკული გამოსავალი, რათა გადაჭრილ იქმნას საკითხი სამნეო კომისიების შემდეგი მუშაობისა.

მაშასადამე ამ საკითხის შესახებ გაზეთის ფურცლებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის დაწყება სულ ზედმეტია, საჭიროა კი ყოველ მხრიდან შევისწავლოთ ის და თუ რაიმე იქნება ბუნდოვანი და გამოურკვეველი, მომავალ ყრილობაზე შევთანხმდეთ და გამოვიმუშაოთ ერთი გზა.

მუშაობა კი სამნეო დარგის გაჯანსაღებაზე უნდა ვაწარმოვოთ იმ საფუძველზე, რასაც გვიკარნახებს არსებული კანონები.

**ხ. შაკუნი.**

# ოფიციალური ცნობა.

(საქონლის საკვებ-სარჩოს დღიური ნორმების შეცვლის შესახებ).

1. 16 ამ იანვრიდან დაწესებულია საქონლის საკვებ-სარჩოს შემდეგი ნორმები:

საბარგულის ცხენებს ეძლევათ დღეში შვრია—11 ნახ. გ. თივა—12 გ.

სამწყობრო ცხენებს „ „ —10 ნახ. გ. „—11 გ.

საარტილერიო ცხენ. „ „ —14 ნახ. გ. „—16 გ.

დაწესებული ნორმები ბზის და მარილის გაცემისა, აგრეთვე ნორმები აქლემების გამოკვებისა რჩება უცვლელად.

**ფეხ-ქვეშ დასაფენი ბზე.**

2. ცხენებისთვის ფეხ-ქვეშ დასაფენ ბზის სასყიდლად წარსული 1924 წ. 1-ლ ოქტომბრიდან იძლევა ფული. ჩვეულებრივი მოთხოვნილება, სათანადო ანგარიშით, უნდა წარდგენილ იქმნას კავკას. წით. დროშოვან ლაშქრის სამხ. სამნ. მომარაგ. განყოფილებაში.

1-ლ დივიზ. სამხ. სამნ. მომ. უფრ. **ხ. შაკუნი.**

# პასუხი შეკითხვებზე.

**შეკითხვა. 1.** წითელი მოლაშქრე, რომელიც მიუღიათ პარტიაში, სარგებლობს თუ რა წითელი არმიელის უფლებებით, ე. ი. მისი კანდიდატობის დრო აღემატება თუ არა ექვს თვეს და თუ აღემატება, რა მიზეზების გამო?

**წ. არ. ვასო კუნჯულია.**

2. აქვს თუ არა წითელ მოლაშქრეს ან მოქალაქეს უფლება, გამოიცვალოს გვარი და თუ აქვს, რომელ დაწესებულებას უნდა, მიმართოს?

**პასუხი.** 1) წ არმიელი, რომელიც შემოდის კომპარტიაში ეძლევა ექვსი თვის საკანდიდატო სტაჟი თანახმად მე 12 ყრილობის დადგენილებისა. მუშა და გლეხი ამ შემთხვევაში, ერთ კატეგორიას ეკუთვნის. წითელი არმიელი, რომელიც პარტიაში შემოდის, გაცნობილი უნდა იყოს პარტიის ისტორიასთან და პროგრამასთან.

2) საბჭოთა კანონები ნებას რთავს ყველა მოქალაქეს, გამოიცვალოს თავის გვარი, ამის შესახებ მან უნდა მიმართოს მ ჩში (სამოქალაქო აქტების ჩამწერი ბიურო.).

# ახალი ამბები.

— **ქიმოხსაზოს წევრებისათვის.** საქ. ქიმ. მოხ. საზოგადოების საწევრო წლიური გადასახადი დადგენილია 25 კ. წელიწადში.

— **წითელ არმიელთა ოჯახების დახმარება.** ქუთაისის სოც. უზრ. ინსპექციას დეკემბრის განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილი ყავდა და დახმარებას აძლევდა წით. არმიელთა 13 ოჯახს.

— **ფუნიკულიორის შეკეთება.** ტფილ. აღმასკომის დადგენილებით მიმდინარე წელს საფუძვლიანათ შეკეთებულ იქნება ფუნიკულიორი, სადაც გამოსცვლიან საქაჩ ჯაჭვებს.

— **მატორიანი რონოდები.** იანვრის ბოლო რიცხვებში ტრამვაის სახელოსნო გამოუშვებს 4 მოტორიან რონოდას, რომლებიც დღემდე არ მოქმედებდენ.

— **სალიკვიდაციო სკოლები.** ტფილისში არსებულ სალიკვიდაციო სკოლებიდან 27 სკოლაში მეცადინეობა სწარმოებს ქართულ ენაზე, 25-ში სომხურზე, 16-ში რუსულზე და 2-ში თათრულ ენაზე.

— **დაუზღვეველი მუშა-მოსამსახურენი.** ტფ. დამზღვევმა კასამ დაადგინა დაუზღვეველი მუშა-მოსამსახურენი ა დაუშვას გასასინჯათ საექიმ კომისიებში.

— **პენსიების დანიშვნ** საქ ც. ა. კომიტეტმა დაად გინა გამოყოს კომისია, რომ ლიც დაუნიშნავს პენსიებს ხალხს, რომელთაც განსაკუთ რებული ღვაწლი მიუძღვი სახელმწიფოს წინაშე.

— **შეფობის მიღება.** სა ცენტრ. აღმ. კომიტეტმა მ იღო შეფობა ტფილისის საბ ვთო სახლების ბავშთა აღმას კომიტეტებისადმი.

— **საქართველოს სიძვე ლენი.** საქ. ცაკმა დაადგინ მიიღოს ზომები დავით-გარეჯ სიძველეთა დასაცავად და ა ძრას შუამდგომლობა ა. კ. ც კის წინაშე, რომ ის ტერიტო რია, რომელიც ამ ჟამად აზერ ბეიჯანის საზღვრებშია და ს დაც გაშენებულია საერთო ს კაცობრიო მნიშვნელობის ძვე ლი ქართული ეკლესიების ნა ნგრევები, შემოერთებულ ი ნას საქართველოს რესპუბლი კაზე, რომ ამით უფრო გაა ვილდეს ამ სიძველეთა დაცვ საქმე.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

# განცხადებები.

იანვრის 28, საღამოს 6 საათზე პოლიტ-განყოფილებ შენობაში დანიშნულია 1-ლ ქ. მ. დივიზიის ტფილისში მდ გომ ნაწილის სამნეო დამხმარე კომისიების (მთელი შემადგ ნლობის) თათბირი. სასურველია დასწრება მეორე ქართულ ტერ დივიზიის მეექვსე ლეგიონის სამნეო დამხმარე კომი სიისა.

საორგ. ნაწილის უფროსი **ლომაია.**

ინსტრუქტორ-ორგანიზატორი **კოპაძე.**

კვირას, 25 იანვარს, დილის 11 საათზე, ცენტრალურ წ თელ არმიელთა კლუბში დანიშნულია ყველა ნაწილებ კლუბის უფროსთა თათბირი.

ინსტრუქტორი **ტ. წვენიევი.**

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1200.